**2020 წლის .......................**

**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N ....**

**დანართი №1**

| შესყიდვის ობიექტის დასახელება | მომსახურების აღწერა | კვლევის I ეტაპის ფასი (ლარი) | კვლევის II ეტაპის ფასი (ლარი) | კვლევის III ეტაპის ფასი (ლარი) | კვლევის IV ეტაპის ფასი (ლარი) | სულ ჯამი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა** | **საკვლევი ობიექტი:** საქართველოს 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა, რომელიც წარმოადგენს ან ტურისტს ან ექსკურსანტს და რომლებმაც განახორციელეს თავიანთი ვიზიტი აჭარაში.<br><br>**კვლევის არეალი:** შინამეურნეობების კვლევა მთელი ქვეყნის მასშტაბით (საქართველოს რეგიონებში და დასახლებულ პუნქტებში)<br><br>**კვლევის პერიოდულობა:** ყოველთვიური<br><br>**მონაცემთა ანალიზი:** კვარტალური<br><br>**კვლევის სპეციფიკა:** გამოკითხვის პროცესში ყოველი თვის მონაცემთა შეგროვება ხდება მომდევნო თვეში.<br><br>**საკვლევი პერიოდი** განისაზღვრება 1 წლით (იანვარ – დეკემბერი 2020 წ.) და იყოფა შემდეგ ეტაპებად:<br><br>კვლევის პირველი ეტაპი:<br><br>- საკვლევი პერიოდი: იანვარი 2020 წ. - მარტი 2020 წ. (3 თვე)<br><br>- კვლევის პერიოდი (მონაცემთა შეგროვება/გამოკითხვა): თებერვალი 2020 წ. - აპრილი 2020 წ. (3 თვე)<br><br>კვლევის მეორე ეტაპი:<br><br>- საკვლევი პერიოდი: აპრილი 2020 წ. - ივნისი 2020 წ. (3 თვე)<br><br>- კვლევის პერიოდი (მონაცემთა შეგროვება/გამოკითხვა): მაისი 2020 წ. - ივლისი 2020 წ. (3 თვე)<br><br>კვლევის მესამე ეტაპი:<br><br>- საკვლევი პერიოდი: ივლისი 2020 წ. - სექტემბერი 2020 წ. (3 თვე)<br><br>- კვლევის პერიოდი (მონაცემთა შეგროვება/გამოკითხვა): აგვისტო 2020 წ. - ოქტომბერი 2020 წ. (3 თვე)<br><br>კვლევის მეოთხე ეტაპი: | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | - საკვლევი პერიოდი: ოქტომბერი 2020 წ. - დეკემბერი 2020 წ. (3 თვე)<br><br>- კვლევის პერიოდი (მონაცემთა შეგროვება/გამოკითხვა): ნოემბერი 2020 წ. - იანვარი 2021 წ. (3 თვე)<br><br>**შერჩევის ზომა**: მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს შერჩევის აგება კვლევის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს თანახმად შემსყიდველთან შეთანხმებით. შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები. ამასთან, კვლევის ყოველივე ტალღისათვის შერჩევის ზომა განისაზღვრება არანაკლებ 400 - 650 დასრულებული ინტერვიუთი (ძირითადი კითხვარის მიხედვით). კვლევის შემდგომი / მომდევნო ტალღებისათვის მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს აღნიშნული შერჩევით.<br><br>**მონაცემთა დამუშავება და პროგრამული უზრუნველყოფა:** მონაცემთა შეტანის, წმენდისა და კომპიუტერული დამუშავებისათვის გამოყენებული უნდა იყოს სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის (SPSS). მონაცემთა დამუშავებისათვის გამოიყენება აღწერითი სტატისტიკა. გამოკვლევის შედეგების პოპულაციაზე განზოგადების მიზნით უნდა განხორციელდეს მონაცემების შეწონვა.<br><br>**საგნობრივი შედეგი:** შემსრულებელი დასრულებული ფორმით ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს შეწონილი, რეპრეზენტატული მონაცემთა ბაზა (SPSS), რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება ანალიზისათვის მისი შემდგომი დამუშავებისა და კორექტირების გარეშე. | | | | | |

შემსყიდველი: ________________ მიმწოდებელი: _________________